




# ხაშურის მთავარი



№18 (391)

15 მაისი, ორშაბათი, 2023 წელი

## ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობით) ბიუჯეტირების პროექტი დაიწყო

2023 წელს პროექტი წადგომი, ცვლანსა და თავგეოში განხორციელდება. ადგილობრივ ბიუჯეტში პროექტისთვის 300 000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც თითოეულ სოფელზე 100 000 ლარი დაიხარჯება.

საპროექტო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია 5 მაისიდან 16 მაისამდე დადგენილი ფორმატით;

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში, საპროექტო განაცხადების წარდგენა შეუძლია ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყველა მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან გარდა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ოფისის თანამშრომლებისა, მუნიციპალიტეტის მერიის/საკრებულოს მოხელეებისა და საკრებულოს წევრებისა. (18 წელს მიუღწეველი მოქალაქეები სააპლიკაციო ფორმაში სავალდებულოდ უთითებენ კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის მონაცემებს);

საპროექტო იდეის წარსადგენად საჭიროა მარტივი სააპლიკაციო ფორმის შევსება. სააპლიკაციო ფორმა ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში (ხაშური, ტაბიძის ქ. 2), წადლის ცოცხნარის და ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების ოფისებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე: [www.khashuri.gov.ge](http://www.khashuri.gov.ge) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ გვერდზე: [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge)

საპროექტო ინიციატივის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ელფოსტაზე: [info@khashuri.gov.ge](mailto:info@khashuri.gov.ge) ხოლო მატერიალური ფორმით მერიის მოქალაქეთა მომ-

სახურების ბიუროში (ხაშური, ტაბიძის ქ. 2), ასევე წადლის, ცოცხნარის და ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის ოფისებში ყოველ სამუშაო დღეს 10-დან 16 საათამდე. საპროექტო იდეის წარდგენა შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად;

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა - Civic Budgeting -Khashuri . სამოქალაქო ბიუჯეტირება ხაშურის მუნიციპალიტეტში, ასევე ინფორმაცია განთავსდება მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში - ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე;

პროექტები, რომელიც ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს, გადავა კენჭისყრის ეტაპზე. გაიმარჯვებს ის პროექტი, რომელიც მოსახლეობის ყველაზე მეტ მხარდაჭერას მოიპოვებს. გამარჯვებული პროექტი 2023 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება;

ფარული კენჭისყრა ჩატარდება 28-29 მაისს;

გამარჯვებულ პროექტს მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო განსახორციელებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას. გამარჯვებული პროექტის ავტორი/ავტორთა ჯგუფია მოწვეულ იქნება მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობაში და მონაწილეობას მიიღებს შერჩეული პროექტის განხორციელების მონიტორინგის პროცესში;

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის შემუშავება განხორციელდა საქართველოს მუნიციპალიტეტების კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.



ახალგაზრდები სახელმწიფო შესყიდვების თემატიკას გაეცნენ

6 მაისს, ა(ა)იპ ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ ინიციატივით, პროექტის ფარგლებში (ხაშურის ახალგაზრდული სივრცის შექმნა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით) რომელიც ხორციელდება სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა, გამარტივებული შესყიდვა და ელექტრონული ტენდერი“ და „ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა“.

ტრენინგს უძღვებოდნენ შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი თიკო ხაჩიძე;

ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ 14-29 წლის ახალგაზრდები. ტრენინგებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე, როგორ ხდება სახელმწიფო შესყიდვები, რა ეტაპებს გადის, როგორ ხდება ელექტრონულად ტენდერის გამოცხადება, კომპანიის შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება. ასევე, ისაუბრეს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

შეხვედრა წარმართა დისკუსიის ფორმატში და ახალგაზრდებმა დააფიქსირეს საკუთარი აზრი და შეხედულებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

## სოფელი ალექსანდრესწყარო ჩქარა ახალ სიცოცხლეს დაიწყებს



ხაშურის სამუსიკო სკოლის შენობაში, სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის კონცეფციის საჯარო განხილვა მოეწყო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა, თენგიზ ჩიტაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ განაშენიანების გეგმის

მომზადების მიზანია საფუძველი ჩაეყაროს სოფლის აღდგენას და მან კვლავ შეიძინოს საცხოვრებელი და სააგარაკე ფუნქცია. "დაგეგმილია სოფელში მოეწიოს ორგანიზებული სარეკრეაციო სივრცეები, უზრუნველყოფილი საინჟინრო კომუნიკაციებით, რაც ძალიან მისასალმებელია და მუნიციპალიტეტი ყოველთვის მხარს დაუჭერს ასეთ ინიციატივებს." - აღნიშნა მუნიციპალიტე-

ტის მერმა.

მ მ უ ნ ი ც - ი პ ა ლ ი ტ ე - ტის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების ხელმძღვანელმა ლია ჯიქურა შვილმა შეკრებილებს, კომპანია შპს „ურბანიკასა“ და შპს „ალპასეს“



მეორე მომზადებული განაშენიანების გეგმა წარუდგინა, რომელიც ინიცირებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში და აღნიშნა, რომ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია საჯარო განხილვის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში - დაპროექტების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში (ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია). არსებითი შენიშვნები შემდეგში ასახული და გათვალისწინებული იქნება სოფელ ალექსანდრესწყაროს გგ-ს პროექტში.

შეკრებილებს, ასევე, განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდეს შპს „ურბანიკას“ ხელმძღვანელმა ირაკლი მურდულიამ და შპს „ალპასეს“ წარმომადგენელმა სვეა ვოგინაშვილმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და დაინტერესებული პირები.

ხაშურში  
9 მაისი  
ლონისძიებებით აღინიშნა



მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე ზვიად ქურდაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ერთად ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს მეორე მსოფლიო ომის ვეტერან ნინო ქურდაძეს.

ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად გვირგვინით შეიმკო მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილ გამირთა მემორიალი.

ლონისძიებები მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.



მერიის  
გაფრთხილება



ქვირფასო თანამოქალაქეებო, დაგვეთანხმებით, რომ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ქალაქის ცენტრალურმა სკვერმა რეაბილიტაციის შემდეგ სულ სხვა ხიბლი შეიძინა.

ძალიან სასიამოვნოა, რომ არაერთი ხაშურელი თუ ჩვენი ქალაქის ვიზიტორი სტუმრობს სკვერს, ისვენებს, ხვდება მეგობრებს, ერთობა მოწესრიგებულ გარემოში.

დასანანია, რომ სკვერის გასაღამაზებლად შესყიდული თეთრი ქვების რაოდენობა დღითიდღე იკლებს. ჩვენი დიდი თხოვნა იქნება, ნუ შევეხებით თეთრ ქვებს, რომელთა ერთადერთი დანიშნულება სკვერის გასაღამაზებაა. ნუ დავაზიანებთ და გავანიავებთ სახელმწიფო ქონებას, რომელთა შექმნაზე თითოეული ჩვენგანის ფულია დახარჯული.

სკვერი ყოველთვის თქვენს სამსახურშია, თუმცა, დიდი იმედი გვაქვს, ეს უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ადარ გაგრძელდება.

- ჩვენ და ბავშვები -

საბიბლიოთეკო უკირეულის გარშემო...



ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში ხელმძღვანელის პოსტზე ჩემი დანიშვნა, როგორც რესპუბლიკური, ასევე რაიონის მასშტაბით, საბიბლიოთეკო კვირეულის მიმდინარეობას დაემთხვა.

ბუნებრივია, ჩვენმა თანამშრომლებმა, კვირეულთან დაკავშირებით, ყველა დეტალში გამარკვივს და ასე, მაშინვე ჩავებით ღონისძიებების ფერხულში.

ჩვენი მხრივ, საბიბლიოთეკო კვირეულის განმაჯობაში გაწეული საქმიანობა ერთად შევაჯამეთ და დასკვნითი ღონისძიებაც მზად იყო!

ღონისძიების დღეს, 28 აპრილს, ჩვენს რაიონში საბიბლიოთეკო კვირეულის წარმატებით დასრულებას დიდი დანაკვეთილი გვილოცავდნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიიდან; განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დან; საკრებულოდან... ვინც

მოსვლა და დაკავშირება ვერ შეძლო, დარწმუნებული ვარ, ისინიც ჩვენ გვერდით იყვნენ. დასკვნითი ღონისძიების პირველი ნაწილი მთავარი ბიბლიოთეკის ღია სივრცეში დაგვიტარა.

ზეცა დიდიდანვე სატირლად ემზადებოდა, მაგრამ, მრავალი მიზეზის გამო, „თავი შეიკავა“ და ღრუბელგადაყრილი უმზერდა მოსწავლეთა შორის გამართულ საჭადრაკო ტურნირს, რომელიც კიდევ ერთხელ გვიდასტურებდა, რომ შესანიშნავი მწვრთნელის - ალიკა ჭადაშვილის სახით, ხაშურს, არა მარტო კარგი პედაგოგი, არამედ ადამიანური ღირსებებით შემკული, უღალატო პიროვნება ჰყავს.

მხატვრული კითხვის საუკეთესო ნიმუში გვაჩვენეს ხაშურის 3 საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა (პედაგოგი იამზე შავიძე). დასაფასებელია სკოლის დირექტორის, ქნ თამარ გაგლოშვილის თანადგომისა და ჩვენთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი.

მომსახურების განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა, მაკა ლევაჯამ, ღონისძიებაზე მოიწვია ბიბლიოთეკის აქტიური, უხუცესი მკითხველები, რომლებსაც საბიბლიოთეკო გაერთიანების სახელით, გადაეცათ სიგელი - „წლის საუკეთესო მკითხველი“. მათი თვალების ფსკერზე ბევრი რამ შეიძლება წაკითხულიყო, მაგრამ წაკითხულიყო, მაგრამ ამჯერად, მხოლოდ იმ სიხარულს აღვნიშნავ, რაც ელემენტარულმა ყურადღებამ მიანიჭათ...

ღონისძიების საუკეთესო მონაწილენი იყვნენ ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლის ნორჩი წევრები (პედაგოგი გოგი შუბითიძე). ვისაც ჩვენი ყოფნა-არყოფნის შიში შეიბერობს და დასევდიანდება, მათ უნდა მოუსმინონ... „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცესო...“ არასოდეს გადაშენდებიან არწივები, მათ ასაფრენს ისევ მღერიან საქართველოში, თანაც-ბავშვები და, ამიტომ!

ჩვენი ღონისძიების დასკვნითი ნაწილი ბიბლიოთეკის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში გაიმართა. ეს იყო საინტერესო შეხვედრა საბავშვო მწერლებთან: ლელა ცუცქერიძესთან და ირმა მაღაციძესთან.

მე-7 საჯარო სკოლის პედაგოგებმა: ღია მეტივიშვილმა და ნონა ტეფნაძემ, მოსწავლეების ჩართულობით, წარმოადგინეს: „სატკბილეოთის ქვეყნის“, „ატუსა და მატუსას“, „ფრის“, „მხიარული ოჯახის“ საინტერესო ფრაგმენტები.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ღია მეტივიშვილის მიერ მომზადებული ბავშვების, მხოლოდ თეატრალურმა მონაცემებმა კი არა, წიგნისადმი დამოკიდებულებამ და აზროვნებამ გაგვაოცა!

დავინტერესდით და გავიგეთ, რომ ახალგაზრდა პედაგოგს, ამჯერად IV კლასის დამრიგებელს, ღია მეტივიშვილს, საბავშვო ლიტერატურული კლუბი, „წიგნის გულა“ აქვს გახსნილი მე-7 საჯარო სკოლაში; ბავშვები, თურმე, ყოველთვის გუნდურად მსჯელობენ წაკითხული წიგნის

შესახებ. ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მოკლე დროში წაიკითხავს ამა თუ იმ წიგნს, რომ მასწავლებელი გაახარონ! პედაგოგის თვალში რომ სიყვარული წავიკითხე, ეს უნდა ნახო, ამას ვერ აღწერ! ბუნებრივია, ბავშვებმა, უპირველესად, წიგნით უნდა დაიწყო სამყაროს შეცნობა და მასთან კავშირი. ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მიზნამდე ხშირად ვერ ვაღწევთ...

ბავშვების ცოცხალ ავტორებთან შეხვედრაც მიზანმიმართულად დაგეგმილია მასწავლებელმა... არ მეგონა, ქვიშხეთის საჯარო სკოლის დაწვევითი კლასების მასწავლებლების შემდეგ თუ ვინმე ჩემ გულისყურს ასე მიიპყრობდა, მაგრამ ეს ასე მოხდა და ვისურვებდი, კიდევ ბევრ კარგ პედაგოგს ეპოვოს თავისი თავი სკოლაში, ბავშვებთან... დაასაქმეთ სკოლებში ღია მეტივიშვილის მსგავსი პედაგოგები, მოითხოვეთ და მიიღეთ შედეგი!

დღე იყო ღამაში... ცა-მოწყენილი, მაგრამ მზე იმდენად დაბლა, რომ ბავშვები სხივებს ართმევდნენ და ჩუქნიდნენ მსმენელს, ერთმანეთს... ასევე-საყვარელ ავტორებს...

დიდი მადლობა ჩვენს მკითხველს, ღონისძიებაში ჩართულ ყველა მონაწილეს, გულშემმატკივარს; ვინც თვლის, რომ ბიბლიოთეკა ცოცხალი ორგანიზმია, - სახლი, სადაც მწერლები ცხოვრობენ; ბიბლიოთეკარი კი - დიასახლისი, რომელიც ჩვენს მათთან დაკავშირებასა და დამეგობრებას უზრუნველყოფს!

დიდი მადლობა ჩემს გუნდს! რომ არა ისინი, საბიბლიოთეკო კვირეულს ასე წარმატებით ვერ დავასრულებდით და ღონისძიებასაც დააკლდებოდა მთავარი, - გულწრფელი სურვილი ამ დღის საუკეთესოდ წარმოჩენისა.

ქვირფასო ბავშვებო, გახსოვდეთ, წიგნი უანგარო მეგობარია, რომელიც მზადაა გასწავლოს, გიპასუხოს და გაპასუხებინოს კითხვებზე: რა? სად? როდის? P.S. ჩვენი გუნდი, 3 მაისს, თბილისში, კვირეულის სახეიმი დახურვის ცერემონიაზე, საინტერესო პრეზენტაციით წარვსდექით.

ერთ-ერთ გამარჯვებულ გუნდადაც დავსახელდით და, სიგელებთან ერთად, საჩუქრებით ხელდამშვენებულნი დაგებუნდით!

დიდი მადლობა ჩვენი რაიონის მუნიციპალიტეტის მერიას, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურს ხელშეწყობისთვის; გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის!

ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი საერთო წარმატებაა!

ღია მეტივიშვილის მსგავსი პედაგოგები, მოითხოვეთ და მიიღეთ შედეგი!

დღე იყო ღამაში... ცა-მოწყენილი, მაგრამ მზე იმდენად დაბლა, რომ ბავშვები სხივებს ართმევდნენ და ჩუქნიდნენ მსმენელს, ერთმანეთს... ასევე-საყვარელ ავტორებს...

დიდი მადლობა ჩვენს მკითხველს, ღონისძიებაში ჩართულ ყველა მონაწილეს, გულშემმატკივარს; ვინც თვლის, რომ ბიბლიოთეკა ცოცხალი ორგანიზმია, - სახლი, სადაც მწერლები ცხოვრობენ; ბიბლიოთეკარი კი - დიასახლისი, რომელიც ჩვენს მათთან დაკავშირებასა და დამეგობრებას უზრუნველყოფს!

დიდი მადლობა ჩემს გუნდს! რომ არა ისინი, საბიბლიოთეკო კვირეულს ასე წარმატებით ვერ დავასრულებდით და ღონისძიებასაც დააკლდებოდა მთავარი, - გულწრფელი სურვილი ამ დღის საუკეთესოდ წარმოჩენისა.

ქვირფასო ბავშვებო, გახსოვდეთ, წიგნი უანგარო მეგობარია, რომელიც მზადაა გასწავლოს, გიპასუხოს და გაპასუხებინოს კითხვებზე: რა? სად? როდის? P.S. ჩვენი გუნდი, 3 მაისს, თბილისში, კვირეულის სახეიმი დახურვის ცერემონიაზე, საინტერესო პრეზენტაციით წარვსდექით.

ერთ-ერთ გამარჯვებულ გუნდადაც დავსახელდით და, სიგელებთან ერთად, საჩუქრებით ხელდამშვენებულნი დაგებუნდით!

დიდი მადლობა ჩვენი რაიონის მუნიციპალიტეტის მერიას, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურს ხელშეწყობისთვის; გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის!

ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი საერთო წარმატებაა!

ღია მეტივიშვილის მსგავსი პედაგოგები, მოითხოვეთ და მიიღეთ შედეგი!

დღე იყო ღამაში... ცა-მოწყენილი, მაგრამ მზე იმდენად დაბლა, რომ ბავშვები სხივებს ართმევდნენ და ჩუქნიდნენ მსმენელს, ერთმანეთს... ასევე-საყვარელ ავტორებს...

დიდი მადლობა ჩვენს მკითხველს, ღონისძიებაში ჩართულ ყველა მონაწილეს, გულშემმატკივარს; ვინც თვლის, რომ ბიბლიოთეკა ცოცხალი ორგანიზმია, - სახლი, სადაც მწერლები ცხოვრობენ; ბიბლიოთეკარი კი - დიასახლისი, რომელიც ჩვენს მათთან დაკავშირებასა და დამეგობრებას უზრუნველყოფს!

დიდი მადლობა ჩემს გუნდს! რომ არა ისინი, საბიბლიოთეკო კვირეულს ასე წარმატებით ვერ დავასრულებდით და ღონისძიებასაც დააკლდებოდა მთავარი, - გულწრფელი სურვილი ამ დღის საუკეთესოდ წარმოჩენისა.

ქვირფასო ბავშვებო, გახსოვდეთ, წიგნი უანგარო მეგობარია, რომელიც მზადაა გასწავლოს, გიპასუხოს და გაპასუხებინოს კითხვებზე: რა? სად? როდის? P.S. ჩვენი გუნდი, 3 მაისს, თბილისში, კვირეულის სახეიმი დახურვის ცერემონიაზე, საინტერესო პრეზენტაციით წარვსდექით.

კლარა გელაშვილი,  
ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

# უ ლ უ მ ბ ო

## ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

**ულუმბა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფელია. აქ VI საუკუნიდან არსებობს ცნობილი მონასტერი, რომლის დაარსებაც ცამეტ ასურელ მამათაგანის-მიქაელ ულუმბოელის სახელთან არის დაკავშირებული. მონასტერს ახსოვს არაბების, თურქ-სელჩუკების, თემურ-ლენგის ურდოებისა და ბოლოს, ლეკთა გამანადგურებელი თავდასხმები.**

**XIII საუკუნიდან, როგორც სოფელთან, ასევე მონასტერთან, მჭიდროდაა დაკავშირებული ამირეჯობთა ცნობილი ფეოდალური საგვარეულო. ამ დასხვა საკითხებზე მოგვითხრობს წინამდებარე ნაშრომი.**  
**გვიქრობთ, მას ინტერესით შეხედება ჩვენი მკითხველი.**

ულუმბო ალის სახელწოდებით ცნობილ ისტორიულ ხეობაში მდებარეობს. ამ ხეობას ალის წყალი, ანუ ალის ფრონე ქმნის. ალის წყალი ღიბის ქედებიდან გამოდის, სამხრეთით მოედინება და ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით მდ. სურამის წყალს ანუ სურამის ფრონეს ერთვის აგარაში. გზადაგზა, მას, მცირე მდინარეები ერთვის, რომლებიც, თავის მხრივ, პატარა ხეობებსა და ხევებს ქმნიან. ერთ-ერთი ასეთი ხეობა (ხევი), ვახუშტის თანახმად, ჭერათხევის ხევია.

დღეს, ჭერათხევი მთელ ალის წყალს მოიაზრებენ. ვახუშტის მიხედვით კი, ალის ციხის ხევი, ალის წყალს ერთვის ჭერათხევის ხევი, რომლის სათავეშიც მდებარეობს ნასოფლარი ულუმბო.

ამრიგად, ვახუშტის მიხედვით, ჭერათხევი იმ ხევს ეწოდება, რომლის სათავეშიც არის სოფელი ულუმბო. ასეთი ხევი კი ალის წყალს მარჯვენა მხრიდან ერთვის. ალის ციხეს რომ გავვლით და საჩხერის მიმართულ გზით წავალთ, იქვე, ალის წყალს მარჯვენა მხრიდან, ჯერ უწლევის წყალი, ანუ უწლეულა, ხოლო შემდეგ, მის ხემოთ, ულუმბოს წყალი ერთვის. ამ წყალს ჭერათხევი, ხოლო ხევს ჭერათხევის ხევი რქმევია უწინ, დღეს რომ მთელ ხეობაზე ვრცელდება.

ულუმბოსკენ გზა საშუალო მთებს შორის მცირე მდინარეს - ულუმბის წყალს მიუყვება. ალის წყალთან ხეობა ფართოა, ხოლო შემდეგ თანდათან ვიწროვდება. საჯვარესთან, სამხრეთის მხრიდან ულუმბოს წყალს ნინისის წყალი, ანუ ნინისულა უერთდება. ეს წყალი სოფელ ნინისიდან მოედინება.

რაც უფრო და უფრო შედიხარ ხეობის სიღრმეში, ტყე უფრო ხშირი და დაბურული ხდება.

გზა ზოგან ძნელად სავალია. რამდენიმე ადგილას ისეთი მკვეთრი მოსახვევია, შთაბეჭდილება გექმნება, გაივლი თუ არა ამ მოსახვევს, სოფელიც გამოჩნდება. ბოლო მოსახვევს რომ მიაღწევ, გზის მცირე მონაკვეთი ჯერ სამხრეთისკენ უხვევს, ხოლო შემდეგ დასავლეთისკენ და ვიწრო ხეობიდან თანდათან გადაიხარ შედარებით სწორ, გავაკებულ ადგილზე. გარშემო ისევ მთებია. ცოტაც და გამოჩნდება ქვეთკირის ახლად ნაგები გალავანი, მის სიღრმეში კი თვალს ჰკიდებ საკმაოდ მოზრდილ დარბაზულ ეკლესიას, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული. ეს სოფლის ცენტრია. თუმცა დღეს აქ სოფელი აღარ არის. გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს აქაურები, ზოგი ნებით და ზოგიც ძალით, სურამის შემოგარენში გადაასახლეს.

ნაქერის დეღე (იგივე ფიჭვნარის, იგივე ნასაყდრის დეღე) და ორტოტა დეღე აქ, სოფლის ცენტრში ეკლესიის სიახლოვეს ერთდებიან და ასე იქმნება ვახუშტისეული ჭერათხევის წყალი, ანუ თანამედროვე ულუმბოს წყალი, რომელიც აღმოსავლეთისკენ მიედინება და ალის წყალს ერთვის.

კიპაროძეების, ხარაიშვილებისა და გელაშვილების ერთ დროს ხალხმრავალი უბნები დაცარიელებულია. გზადაგზა გეხვდება მათი ბალახგადავლილი ნამოსახლარები, გაველურებული ხეხილის ხეები... რატომღაც მეჩვენება, რომ ყველაზე მოწყენილად კაკლის ხეები გამოეყურებიან. თითქმის ყველა ნასოფლარზე შეხვდებით ასეთ სურათს. მითხრეს: უაღამიანობას ვერ ეგუება კაკლის ხეო...

აქა-იქ დროებითი საცხოვრებლებია გამართული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მხოლოდ ზაფხულობით თუ ამოდიან აწ უკვე ყოფილი ულუმბოელები თავიანთ მამა - პაპათა ნასახლარებზე და რამდენიმე ხნით უბრუნებენ სიცოცხლეს ნასოფლარს.

ზამთარ-ზაფხულ აქ მხოლოდ მამათა მონასტრის ბერები ცხოვრობენ. დიდი ხნის წინ შეწყვეტილი სამონასტრო ცხოვრება გასული საუკუნის 90-იანი წლის დასაწყისიდან განახლდა და ბევრი რამ გაკეთდა ბოლო პერიოდში: აღადგინეს გალავანი, მოეწყო სენაკები, რესტავრაცია ჩაუტარდა ღვთისმშობლის ეკლესიას, გაიწმინდა ფიჭვნარის, ანუ ნასაყდრის დეღეში მდებარე ეკლესიის ნანგრევები, აღადგინეს კიდევ და წმ. გიორგის სახელზე აკურთხეს. აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრებმა ბევრ საინტერესო ფაქტს ახადეს ფარდა, ბევრი რამ გახდა მკვლევართათვის ცნობილი. ამ სიძველეთან ცხადია მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით სოფლის - ულუმბოს ისტორია.

\* \* \*

ულუმბოზე ქართლიდან იმერეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასახლელ გზა გადის. საერთოდ, ღიბის ქედზე აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში რამდენიმე, ისტორიულად ცნობილი უღელტეხილი - გადასახლელელია. ესენია: პერანგას, ზემო ჯვარ-კორტოხის, დედაბერასი, რიკოთის, სურამის (ფონა) და ქვიშხეთის (ციხისძირი). ამ გადასახლელ გზებიდან ორი - ჯვარ-კორტოხისა და დედაბერასი, ალის ფრონეს ხეობაშია.

ეს გზები, სხვა გზებთან შედარებით, როგორც ჩანს, უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. ამ გზებს აღმოსავლეთიდან იცავდა ალის ცნობილი ციხე, რომელიც ძველი ქალაქის ზემოთ, ხეობის მოვიწროვებულ ადგილზე მდებარეობს. ეს ადგილი ალის ფრონეს ხეობაში ყველაზე სტრატეგიული ადგილია და ამიტომაცაა აქ, მთის წვერზე, წამომართული ციხე. მას აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოუდის ალის ფრონე. მდინარეს ორივე მხრიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მთები ავიწროვებს. მის ზემოთ ხეობა შედარებით იშლება, ხოლო ქვემოთ, ალისკენ საკმაოდ გაშლილია, სადაც ალის ცნობილი ჭალა უნდა ყოფილიყო. ციხე ხეობას არა მარტო აკონტროლებდა, არამედ კეტავდა კიდევ.

ბუნებრივად გამაგრებული ეს ადგილი ხელოვნურადაც იყო გამაგრებული. ჯერ ერთი, იქვე, მდინარის პირიდან დაწყებულ შემადლებულ გორაზე

მდგარი მაგარი ციხით, ხოლო ზემოთ, ვან შარდენის ცნობით, ხეობა ხელოვნურადაც იკეტებოდა. ვან შარდენი წერს: „23-ში ალიონზე აქედან (გორიდან) გავედით, მარცხნივ ჩამოვიტოვეთ ახალციხისაკენ მიმავალი გზა, შუადღისას ჩავედით ერთ პატარა ქალაქში, რომელსაც ალი ეწოდება. იგი მთებშია გაშენებული გორიდან ცხრა ღივს დაშორებით. ამ ქალაქიდან ორი ღივ ვიწრო ხეობით ვიარეთ, რომელიც ხის კარიბჭით ბოლოვდება. ეს არის საქართველოსა და იმერეთის სამეფო საზღვარი“.

ალის ფრონეს ხეობის ასეთი დაცულობა გვაფიქრებინებს, რომ აქედან იმერეთისკენ გადასახლელი გზები უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გამოყენებული საუკუნეების მანძილზე ვიდრე სურამის გადასახლელელები (რიკოთი, ფონა). სხვა გადასახლელელებთან შედარებით, უფრო მოსახერხებელიც ჩანს თავისი ადგილ-მდებარეობით. აქ უფრო დაბალი და სწორი, თითქმის გავაკებულა გადასახლელი გზები და სიძველეები თითქმის გამოირცხვლია. ამიტომ, სწორედ ალის ფრონეს ხეობის გზებით (ჯვარ-კორტოხის, დედაბერა) უნდა ხდებოდეს ინტენსიური ურთიერთობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ორივე გადასახლელეს იცავს საკმაოდ მაგარი ციხეები (ალი, სვერი, შორაპანი), აქვეა ქალაქები (ალი, შორაპანი) და სხვა. ამ ადგილებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და სამონეტო განძებიც ამაზე მიგვანიშნებს. ამ გზებით შემოდის ქართლში დასავლურ ქართული და პირიქით, აქედან გადადის დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურ ქართული კულტურის ელემენტები. ამ ადგილებში კარგად ჩანს ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან აღმოსავლურ - ქართული და დასავლურ - ქართული კულტურების ურთიერთობა.

ალის ფრონეს ხეობიდან დასავლეთისაკენ მიმავალი გზა მდინარეს მიუყვებოდა დინების საპირისპიროდ და ჯვარ-კორტოხის გადასახლელელებით კორბოულში შედიოდა. აქედან გზა ერთის მხრით საჩხერეზე, ხოლო მეორეს მხრით სვერზე მიდიოდა.

მეორე გზა ასევე მდინარეს აუყვებოდა, შემდეგ მარცხნივ გადაუხვევდა და ვახუშტისეულ ჭერათხევს მიუყვებოდა. შევიდოდა ულუმბოში, აქედან კი შემდეგი მარშრუტით: ულუმბო - დედაბერა - დოდორა - ღიბი - ნადაბური - ციციქური - ლაშე, შესაძლებელია შორაპანში მოხვედრა. აქვე მოდიოდა ჯვარ-კორტოხის გზაც.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კორბოულით შეიძლებოდა მოხვედრა ულუმბოს გზაზე სოფელ ქველა ღიბთან. საცალფეხო გზით კორბოულიდან შეიძლება მოხვედრა სოფელ ციციქურშიც.

ქართლიდან ღიბით-იმერეთში გადასახლელად ორივე გზით სარგებლობა არამარტო ალიდან შეიძლებოდა, არამედ წადვლის საშუალებითაც იყო მოსახერხებელი. ეს გზა აბისზე გამოივლიდა, შევიდოდა წადვლში, აქედან კი ბოთკინითა და ამავე სახელწოდების დელით შედიოდა ალის ფრონეს ხეობაში. შემდეგ კი, სურვილისამებრ, ან ულუმბო-დედაბერის, ან ჯვარ-კორტოხის გზებით შეიძლებოდა სარგებლობა.

აღნიშნულ გზებზე საუბარია ქართულ საისტორიო წყაროებში. კერძოდ, დასტურდება, რომ დასავლეთ საქართველოში გადასახლელად ულუმბოს გზით ისარგებლა თემურ ლენგმა. ქუცნა ამირეჯობის სიგელებში ჩამოთვლილია სოფლები, რომლებიც აღნიშნულ გზაზე გვხვდება (დოდორა, ღიბი, გოლისი).

ულუმბოს გზით, რომ ხშირად სარგებლობდნენ, ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს XVIII საუკუნით დათარიღებული ერთი ხალხური ლექსიც:

„ულუმბის ქედსა გადმოვსდექ, სევდა ავყარე გულისო, დავედე ქართლის სირონსა ღვთისაგან დასახულისა, დავაგდე ქაჯთა ქვეყანა ტალახით გამბასრულისა ვინც იყოს მათი მოყვარე გახდეს მამადის რჯულისა. ძლივდა გადმოველ ჯურღმულით, ვნახე მშობელი ქვეყანა გული გაემიღა, რომ ვნახე ცა გაღაშლილი და ყნა, ძლივ დავინახე მინდორი ზურმუხტად გამწვანებული, აქა-იქ ნიაჭარისგან ზღვისაებრ მოღვლებული“

„როდესაც ვახტანგ მეფე წამოვიდა იმერეთიდან სურამის მთაზე, ეს ღექსი უთაქვამსო. ზოგნი ამბობენ, რომ ბატონიშვილს ბაქარს უთაქვამსო, როდესაც ქართლში გადმოსულა იმერეთიდან, სადაც იგი დროებით მეფედ მჯდარა და თავი დაუღწევიაო“

ულუმბოს გზა რომ გარკვეულ როლს თამაშობდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში, ამაზე მიგვანიშნებს აქ VI ს-ის შუა ხანებში ასურელ მამათა ერთ-ერთი წარმომადგენლის - მიქაელ ულუმბოელის დამკვიდრებაც. აღბთ ეს ფაქტი იმაზეც უნდა მეტყველებდეს, რომ ადრე ფეოდალური ხანის დასაწყისში, ულუმბოს გზა უფრო ინტენსიურად გამოიყენებოდა ვიდრე ამ რეგიონის სხვა გზები.

\* \* \*

გამოთქმულია მოსაზრება რომ სახელწოდება ულუმბო მომდინარეობს ბერძნული ოლიმპოდან. ოლიმპო უმაღლესი მთის მასივია საბერძნეთში, ეგეოსის ზღვის თერმეოკოსის (თესალონიკის) ყურის ნაპირთან. ძველი ბერძნული მითოლოგიის, ჰომეროსისა და სხვა ძველ მწერალთა ნაწარმოებების მიხედვით, ოლიმპო ღმერთების სამყოფელი ადგილია. ოლიმპოს ღმერთების საკრებულო-საც უწოდებენ, ხოლო ღმერთს ოლიმპიელს.



მეკლევართა აზრით ბერძნული ოლიმპოდან უნდა მიეღო სახელწოდება ულუმბო მთას და ერთ-ერთ მონასტერს მცირე აზიაში, ისტორიულ ბითინიაში (ამჟამად თურქეთის ფარგლებში), სადაც შუა საუკუნეებში გაცხოველებული სამონასტრო ცხოვრება მიმდინარეობდა. ქართველი მოღვაწეები ოლიმპოს მთაზე IX საუკუნეში მისულან და XI საუკუნემდე მრავლად ყოფილან აქ ბერძნულ ოლიმპოს უკავშირებენ შიდა ქართლში არსებულ ულუმბო-საც.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ულუმბო მცენარის სახელწოდებაც არის. მას განმარტავენ, როგორც უცხო სუნელს. წარმოადგენს ერთწლოვან ბალახოვან მცენარეს. მიაკუთვნებენ პარკოსანთა ოჯახს. აქვს სწორმდგომი, განტოტვილი ღერო, სამფოთლოაკიანი ფოთოლი, სფეროსებრი მტევანი ყვავილანი, ცისფერი ან ღია ღურჯი ყვავილი. ნაყოფი პარკია. იგი გავრცელებას კპოვებს კავკასიაშიც. გვხვდება სარეველა მცენარედ, ხშირად მოჰყავთ ბოსტნებშიც. მის გამხმარ ნაყოფს სხვადასხვა კერძის საკმაზ-სანელებლად იყენებენ.

ულუმბოს გავრცელება დასტურდება საქართველოშიც. გურიაში და იმერეთში იგი ცნობილია როგორც სუნელი ან უცხო სუნელი, ქვემო იმერეთში ხმელი სუნელი, აჭარაში, როგორც სურნელი ბალახი, სამეგრელოში - უცხო სუნელი.

\* \* \*

ულუმბო, საქართველოს უძველესი სოფელი, როგორც უკვე ითქვა, მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ცამეტი ასურელი მამის - მიქაელის სახელთან. სოფლის სახელწოდებიდან გამომდინარე, იგი მიქაელ ულუმბოელის სახელით არის ცნობილი.

ასურელი მამები VI საუკუნეში სირიიდან მოვიდნენ საქართველოში. მათი საქართველოში მოღვაწეობის მიზანი ქრისტიანული რელიგიის დაცვა - განმტკიცება იყო. საქართველოში ასურელი მამების წამოსვლის მოთავე და ხელმძღვანელი იოანე ზედაზნელი ყოფილა. პირვილად VI ს-ის I ნახევარში ქალაქ ანტიოქიიდან დავით გარეჯელი მოსულა. შემდეგ VI საუკუნის შუა ხანებში, იოანე ზედაზნელი თავისი მოწაფეების თანხლებით, და ბოლოს, 70 - იან წლებში კი აბიბოს ნეკრესელი.

ისტორიამ შემოინახა იმ ასურელ მამათა სახელები, რომელთა მოღვაწეობამაც თვალსაჩინო კვალი დატოვა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. გარდა ზემოთ დასახელებულისა, ესენი არიან: შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, იასე წილკნელი, სტეფანე ქიხიელი ანუ ხირსელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, ელია დიაკონი, აგრეთვე, პიმენი, ნათანე და იოანე.

აღმოსავლეთ საქართველოში ასურელმა მამებმა მრავალი მონასტერი ააშენეს, ქართველ წარმართ მოსახლეობასა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ქრისტიანობა გაავრცელეს და ჩრდილოეთი მხარეები ეკლესიურად საქართველოს დაუქვემდებარეს. მათი საქმიანობა ხელს უწყობდა ქართული ფეოდალურ - ქრისტიანული კულტურის გავრცელება-განმტკიცებას, ნიადაგს უმზადებდა განმათავისუფლებელ ბრძოლას ირანის წინააღმდეგ, განამტკიცებდა ბერძნულ - ბიზანტიურ ორიენტაციას კულტურულ - პოლიტიკურ სფეროში. დიდი იყო ასურელი მამების მოღვაწეობის სოციალურ - ეკონომიკური შედეგიც. მათ მიერ დაარსებულმა სამონასტრო ცენტრებმა ხელი შეუწვეეს უდაბურ - უკაცრიელი ადგილების სამეურნეო ათვისებას და აღორძინებას. ამავე დროს ეს სავანეები ქართული მწიგნობრობის და განათლების ცენტრებად იქცნენ.

ქართულმა მწერლობამ შემოგვინახა ასურელ მამათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თხზულებანი. ჩვენთვის ცნობილია აბიბო ნეკრესელის, იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, რომლებშიც აღწერილია ასურელ მამათა მოსვლა საქართველოში, სამონასტრო მშენებლობის წამოწყება და საკულტო კერების დაარსება, გვხვდება საყურადღებო ცნობები საქართველის სოციალურ - პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ასურელ მამებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. ეს ეხება მათ სარწმუნოებრივ მიმართულებას, ქართლში შემოსვლის დროს, ეთნიკურ წარმომავლობას, დედაენას და სხვა.

იოანე ჯავახიშვილის აზრით, ასურელი მამები სარწმუნოებრივი მიმართულების თვალსაზრისით, დიოფიზიტები იყვნენ, ხოლო კორნელი კეკელიძის მოსაზრებით ქართველი მონოფიზიტები არიან.

კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ სირიელ მამათა ცხოვრების ამსახველმა ტექსტებმა განიცადეს რა ძლიერი რედაქტირება, მამათა შესახებ ბევრი რამ დაკარგულია ან გადაკეთებული. მეკლევარს მიაჩნია, რომ ასურელ მამათა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ცამეტი. ამავე დროს თვლის, რომ ისინი ანტიქალკედონიტი მონოფიზიტები იყვნენ და ბიზანტიის ხელისუფლების მიერ მონოფიზიტების მიმართ განხორციელებულ დევნას გამოექცნენ და ქართლში მოვიდნენ: „ჩვენ გვგონია, რომ ეგრედწოდებულნი „ათცამეტი ასურელი მამანი“ იყვნენ მონოფიზიტები, რომელნიც გამოქცევიან მონოფიზიტთა დევნულობას სირიაში და ჩვენში მოსულან... შემდეგში, როდესაც ჩვენში დიოფიზიტობას გაუმარჯვნია საბოლოოდ, ამ მამების მოღვაწეობისათვის დიოფიზიტური ელფერი მიუციათ, წმიდათა რიცხვში მოუქცევიათ ისინი და დღესასწაულებიც კი დაუწესებიათ მათი სახელობისა“.

რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, დიდი მეცნიერი განიხილავდა რა ასურელ მამათა ცხოვრების ამსახველ ტექსტებს, ასკვნიდა: „...წმინდა სამონაზნო მოღვაწეობის გარდა, ასურელი მამების ცხოვრებათა გადაკეთებულებსაც შერჩენილი აქვთ ცნობა, რომ ისინი საქართველოში მოსული იყვნენ საქადაგებლად, ქვეყნის განსამტკიცებლად „სარწმუნოებითა მართლითა“ და „წმიდისა სამებისასა“, ე.ი. მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად“.

იქვე დიდი მეცნიერი მიუთითებს: „ასურელ მამათა მოღვაწეობის ეს დამახასიათებელი თვისება უფრო მკაფიოდ და მეტი გულახდილობითაც სამოქალაქო ისტორიის ძველშია გამოქვეყნებული. სახელობრ, XI ს. ქართველ ისტორიკოსს ჯუანშერს ნათქვამი აქვს: მოვიდა იოანე შუამდინარელი, რომელსა ეწოდა ზედა-ზადნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისა-ო“. მაშასადამე, იოანე ზედაზნელისა და მის ასურელ მოწაფეთა მოღვაწეობა აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ „სარწმუნოებითა მართლითა“ განმტკიცებით არ ამოიწურებოდა, არამედ ისინი ყოფილან ამასთანავე „განმწმედენი სჯულისანი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს: „ეს საგულისხმო ცნობა ამტკიცებს, რომ საქართველოში მაშინ განმტკიცებულ სარწმუნოებას „გაწმენდა“ სჭირებია. ასეთი გაწმენდა კი „სჯულს“ მხოლოდ „მწვალებლო-

ბის“ შერევის დროს სჭირდებოდა ხოლმე. ყველა ზემო აღნიშნული გარემოება ცხად-ყოფს, თუ რამდენად მცდარია კ. კეკელიძის დებულება, თითქოს ასურელ მამებს, ვითარცა ასურეთში დევნილ მონოფიზიტებს მონოფიზიტურ საქართველოში თავი შემოეფარებინოთ. ისინი საბრძოლველად ყოფილან მოსული: სარწმუნოების დგარდლისაგან განსაწმენდელად და „მართალი სარწმუნეობის“ განსამტკიცებლად გამოუდვიათ თავი“

დიდი მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს რა VI ს-ში „აღმოსავლეთ საქართველოში მონოფიზიტობის ბატონობის ამბავზე“, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ „სჯულის განმწმედლობასა და მართალი სარწმუნეობის საქართველოში განმტკიცებაზე IX-XII სს ქართველი ქალკედონიანი ავტორები მოგვითხრობენ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი წარმოდგენა გვექმნება ასურელ მამათა მოღვაწეობის მიზანზეც და მთავარ გეზზეც. „IX-XII სს-ის ქართველი მწერლებისათვის ერთადერთი „მართალი სარწმუნოება“ ქალკედონიანობა იყო და, როცა ისინი ამბობენ, რომ ასურელი მამები „მართალი სარწმუნეობის“ განმტკიცებისათვის იღვწოდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალკედონიანობის გამარჯვებისათვის იბრძოდნენ. ამისდა გვირგვინი „განმწმედლობა სჯულისა“-ც უნდა მონოფიზიტობის საწინააღმდეგო ბრძოლას ჰკულისხმობდეს“.

დიდი მეცნიერის მსჯელობა ასურელ მამათა სარწმუნოებრივ მიმართულებაზე არა თუ გასათვალისწინებელია, არამედ რაიმე ეჭვსაც აღარ ტოვებს მათ დიოფიზიტობაზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არაა ასურელ მამათა ქართლში მოსვლის თარიღზეც. ისტორიკოსები ჯუანშერი და ვახუშტი ბატონიშვილი ასურელ მამათა ქართლში მოსვლას ფარსმან VI - ის მეფობის პერიდით ათარიღებენ.

ჯუანშერი წერს: „...ფარსმანის-ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშები მრავალი, მან და მოწაფეთა მისთა, რომელთა განაკვირვებს ყოველნი ქართველნი. დაიწერა ცხოვრება და სასწაულები მათნი და დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა“.

აქვე დასახელებულია „სახელები წმიდათა მოწაფეთა“. მათ შორისაა მიქელ ულუმბელიც. ნათქვამია ისიც, რომ „მრავალნი სხუანიც დაემოწაფნეს წმიდასა მას მამასა (იოანეს - თ.ლ.), კაცნი წმიდანი და სულიერნი მამანი და-ჰყუნეთ ჟამისათა“.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: ფარსმანი „...იყო ფრიად მორწმუნე და მატა ეკლესიათა. ჟამსა ამისსა მოკუდა კათალიკოზი ჩივირმან. დასუა საბა. ამიერითგან არღარა მოიყვანდიან კათალიკოზსა საბერძნეთილამ, არამედ დასხმიდიან წარჩინებულ-დიდებულთა ძეთა. კუალად მოკუდა კათალიკოზი საბა. ამანვე დასუა ევლავიოზ. ამისვე-ზე მოვიდნენ ი“ (13) მამანი შუამდინარიდამ. მიგებდა ევლავიოზ კათალიკოზი და მოიკითხა ასურულითა ენითა; ხოლო მათ ქართულ პასუხ-უგეს, რამეთუ უცნობელნი იყვნენ ორნივ ენათა ურთი-ერთთა...“.

ვახუშტიც, ჯუანშერის მსგავსად, ჩამოთვლის ასურელ მამებს და იქვე მიუთითებს, რომ ესენი არიან „განმანათლებელნი და აღმამწმედელნი ეკლესია-მონასტრთა ქართლისათანი“.

მეკლევართა ერთი ნაწილი ასურელ მამათა ქართლში შემოსვლას VI ს - ის II ნახევარში ათავსებს, მეორე ნაწილი ამავე საუკუნის პირველი ნახევარში, ზოგიერთი კი - V საუკუნეშიც.

ცნობილი მეცნიერი მარი ბროსე თვლიდა, რომ ასურელი მამები ქართლში 553 წელს ჩამოვიდნენ. თვლიდა, რომ ისინი 551-557 წლებში არიან მოსულნი. ასევე ფიქრობდა კ. საძაგლიშვილი. მიხეილ საბინინი კი VI ს - ის 50 - იან წლებში ათავსებდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცნობილი მეკლევარი პლატონ იოსელიანი მიიჩნევდა, რომ ასურელი მამები ქართლში 445 წელს მოვიდნენ. გრივალ ფერაძეს მიაჩნდა, რომ მამები V ს - ის მეორე ნახევარში მოვიდნენ.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, დავით გარეჯელი V ს - ის ბოლოს, ან VI ს - ის დასაწყისშია მოსული, იოანე ზედაზნელი მოწაფეებითურთ VI ს - ის შუა ხანებში, ხოლო აბიბოს ნეკრესელი VI ს - ის დამლევს.

მიხეილ თარხნიშვილი ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს და თვლის, რომ ასურელი მამები ქართლში მოსვლა VI ს - ის შუა ხანებში უნდა მომხდარიყო.

კორნელი კეკელიძე თვლიდა, რომ ასურელი მამები ყველანი ერთად და ერთ დროს არ იყვნენ მოსულნი. მეცნიერი თვლიდა, რომ პირველად დავით გარეჯელია მოსული V ს - ის დამლევს, შემდეგ იოანე ზედაზნელი თავისი მოწაფეებითურთ, - VI ს - ის შუა წლებში. დაახლოებით ამავე დროს, მაგრამ მარტო მოსულად ჩანს ანტონ მარტყოფელი. VI ს - ის მეორე ნახევრისა და დამლევის მოღვაწეა აბიბოს ნეკრესელი.

პროფ. დ. მენაბდე ეთანხმება კ. კეკელიძეს ასურელ მამათა მონოფიზიტობის საკითხში და თვლის, რომ ისინი ქართლში 540-542 წლებში მოვიდნენ.

შ. ნუცუბიძე ქართლში ასურელ მამათა მოსვლას პლატონის აკადემიის დახურვას - 529 წელს უკავშირებდა. ვ. გოილაძე აღნიშნავს, რომ ისინი VI ს - ის 20 - იანი წლების ბოლოსათვის მოვიდნენ, ხოლო მიტროპოლიტი ანანი ჯავარიძე VI ს - ის 40 - იანი წლებით ათარიღებს.





- საბავშვო ბაღი -

### ავტორიზაციისთვის მუდმივი მზადებაა საჭირო

საბავშვო ბაღების ავტორიზაციის მოსამზადებელი სამუშაოები ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს. დასრულებულია პირველადი აღწერა, და 2027 დაწესებულებიდან, 1704 საჯარო და 323 კერძო ბაღი დარეგისტრირდა.

იმისათვის, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი მომზადებული შეხვდეს ავტორიზაციას, საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ მრავალი აქტივობა ტარდება და სიახლეები თვალსაჩინოა.

სამთპ-ის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის ზრუნვის საგანია, საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი უფლებების დაცვა, რასაც განუხრელად ვემსახურებით. როგორც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი, ქალბატონი მათა კობახიძე აღნიშნავს, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ საქართველოს კანონი ამოქმედდა 2016 წლის ივნისში, მაგრამ ერთიანი სტანდარტით, საბავშვო ბავშვების დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სახელფასო პოლიტიკა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, კანონი არ სრულდება, ამის შედეგია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში განვითარებული პროცესი. წალენჯიხაში, ევ ოპტიმიზაციის და ფინანსების დაზოგვის საბაბით, გაათავისუფლეს 36 აღმზრდელის თანაშემწე. არავინ დაინტერესებულა კანონიერი იყო თუ არა, წალენჯიხის მერიის გადაწყვეტილება. ჩვენ არ ვეთანხმებოდით წალენჯიხის მუნიციპალიტეტს, გვქონდა მცდელობები და შეხვედრა, რათა შეგვეჩერებინა უკანონო ქმედება, მაგრამ ჩვენი აზრი არ გაითვალისწინეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სარჩელი სასამართლოში გასული წლის ოქტომბერში შევიტანეთ და ველოდებით პროცესის დაწყებას, თუმცა გავიდა რამდენიმე თვე და სასამართლო არ ჩაინიშნა.

ვცდილობთ, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, განვახორციელოთ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი, მუნიციპალიტეტები ვაღიარებთ იყენებენ შემუშავებინათ ნორმატიული აქტები, მდგომარეობა ამ მხრივაც საგანგაშოა. რიგმა მუნიციპალიტეტებმა საერთოდ არ გავცეს პასუხი, იძულებულნი ვართ, გამოვიყენოთ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. ვინც მოგვაწოდა, ნორმატიული აქტების დიდი ნაწილი შედგენილია არაპროფესიონალურად, შრომის კოდექსის მოთხოვნების შეუსაბამოდ”. - ვერს ქალბატონი მათა კობახიძე გახეთ „ეტალონში”.

სერტიფიცირების დაწყების შემთხვევაში დაინიშნება გამოცდები. მოსამზადებლად კი, სისტემატიური მუშაობაა საჭირო, ნებისმიერ დასაქმებულთან.

საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მართვა”. „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები”, „მუსიკის სწავლების სტრატეგიები და სხვა.

ორივე დღის უკან საბავშვო ბაღების დირექტორებისთვის „კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი ტრენინგი ჩატარდა. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ წარმატება ერთი, ან ორი სამუშაო დღით მოგვარდება, მაგრამ ვფიქრობთ, თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის შესწავლა არ შეჩერდეს და გაგრძელდეს მანამ, სანამ შედეგი არ დადგება.

საბავშვო ბაღების დირექტორების ტრენინგის მსვლელობის დროს, საკუთარი სურვილით გვეწვია ხაშურის მე-8 საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე, თვითნასწავლი მხატვარი, უნიჭიერესი, საბა ღონდაძე, რომელმაც მის ნახატებზე შექმნილი, მანანა ვარდოსანიძის მიერ დაწერილი მუსიკის სახელმძღვანელო საჩუქრად გადასცა მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღს, სასკოლო ასაკის აღსაზრდელებისთვის.

საბა ღონდაძეს, რომელიც თავისი ნახატებით გაიცნო არა მხოლოდ საქართველომ, არამედ საბერძნეთის ქართულმა დიასპორამ, საბავშვო ბაღების დირექტორებმა წარმატებით უსურვეს და მადლობა გადაუხადეს.

მუშაობა გრძელდება, საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან ერთად ტრენინგი ჩატარდება ყველა საჭირო საკითხზე, რაც სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა მომზადებისა და ავტორიზაციისთვის იქნება საჭირო.

ინეზა ელისაშვილი,  
სამთპ-ის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის  
თავმჯდომარე, 2023 წლის 10 მაისი

### - ფეხბურთი -

### სეზონის უცნაური დასასწისი

მართლაც უცნაურად დაიწყო წლებანდელი ჩემპიონატი „ივერიაში“. როგორც წესი, ფეხბურთში, გუნდები, ძირითადად, ქულებს შინაურ კედლებში აგროვებენ, სადაც ე. წ. მეთორმეტე მოთამაშედ საკუთარი გულშემატკივრები ეგულებათ. ამ მხრივ, ჩვენი გუნდი მართლაც გამორჩეულია, რადგან ამდენი გულშემატკივარი რეგიონლიგის კი არა, უმაღლეს ლიგაშიც იშვიათია. მაგრამ, სამწუხაროდ, რატომღაც,



ჩვენს შემთხვევაში, პირიქით ხდება: სახლში ორივე შეხვედრა დავთმეთ, გასვლაზე კი სამივე მოვიგეთ. ბოლო შეხვედრაში „ივერიაში“ „კოლხი“ დაამარცხა უპრობლემოდ - 3:0. ამასზე კარგი რა უნდა იყოს, როდესაც გუნდი გასვლით შეხვედრებს იგებს, მაგრამ თუ ეს შედეგი შინაურ კედლებში მოპოვებული ქულებით არ არის გამყარებული, მაშინ მთელი წლის შრომა წყალში გადაყრის გამოვა. არადა, რომ ვთქვათ, ისეთ გუნდებთან დავმარცხდით, რომ მათთან მოგება არ შეიძლებოდა, ტყუილი იქნება. ჯერ იყო და სეზონის გასსნის მატჩი დავთმეთ ახალციხის „მესხეთთან“. ამას კი 35 - ე საფეხბურთო სკოლასთან განცდილი მარცხიც დაემატეთ. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს „ივერიაში“ შინაური კედლების კომპლექსი ჩამოუყალიბდა. არ გამოვიცხავთ, რომ ფსიქოლოგიურ პრობლემასთან გვქონდეს საქმე. მაშ, რას უნდა მივაწეროთ ასეთი ფიასკო?! ფიქრობთ, ამ მხრივ, აშკარად მეტი სამუშაო აქვთ „ივერიის“ ახალგაზრდა მწვრთნელებს. ამ კვირაში, ხუთშაბათს, 18 მაისს „ივერია“ სახლში მასპინძლობს გათამაშების ლიდერს „იბერიას“. ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი მატჩია. ამჟამად, ჩვენი გუნდი ხუთეულშია ცხრა ქულით. იმედია, ჩვენი ფეხბურთელები დაძლევენ ამ მცირე კრიზისს და უკვე საშინაო შეხვედრაშიც გაახარებენ თავის ერთგულ გულშემატკივრებს.

გ. გოგოლაძე

### - ძიუდო -

### დასრულდა რამაზ ხარშილაძის სახელობის ტურნირი

6-7 მაისს, ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში, გაიმართა ოლიმპიური ვერცხლის და მრავალი ტიტულის მქონე ხაშურელი ძიუდოსტის რამაზ ხარშილაძის სსონისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2011-2012 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის ძიუდოში.



- გაგაცნობთ შედეგებს :
- 24 კგ.
  - 1 მირუაშვილი გიორგი;
  - 2 რატიანი ალექსანდრე;
  - 3 მოდებაძე გელა;
  - 3 კაკაშვილი ნიკოლოზი.
- 27 კგ.
  - 1 პაპინაშვილი დანი;
  - 2 ტყემალაძე ანდრია;
  - 3 ტიფლიძე ლუკა
  - 3 ქიტიაშვილი გაბრიელი (ხაშური).
- 30 კგ.
  - 1 ლაზაშვილი დანი;
  - 2 მაისურაძე ლუკა;
  - 3 გიგანი ნიკოლოზი;
  - 3 კალაშვილი მიშა.
- 34 კგ.
  - 1 ქიტიაშვილი ანდრია (ხაშური);
  - 2 ახოზაძე ანდრია;
  - 3 ნებიერიძე ბადრი;
  - 3 ლაზარაშვილი გუგა.
- 38 კგ.
  - 1 წურწუშია ანდრია;
  - 2 მეგრელიშვილი ნოდარი;
  - 3 გოგალაძე გიორგი (ხაშური);
  - 3 მშვიდლობაძე ზუკა.
- 42 კგ.
  - 1 ბარათელი ლაზარე;
  - 2 გვარდიანი ანდრია;

- 3 მურადაშვილი გიგი;
- 3 ცალანი სანდრო.
- 46 კგ.
  - 1 ბეგოიძე ალექსანდრე;
  - 2 ასათიანი ნუგზარი;
  - 3 ლამაზოშვილი ნუგზარი;
  - 3 ავალიანი ნიკოლოზი.
- 50 კგ.
  - 1 თაბუაშვილი გიგი;
  - 2 სოლოშვილი ალექსანდრე;
  - 3 ავაზაშვილი დავითი;
  - 3 შევლიძე გიორგი.
- 55 კგ.
  - 1 ციბაძე მათე;
  - 2 მარგველაშვილი ანიკო;
  - 3 მილაძე გიორგი;
  - 3 კიკველაშვილი გიორგი.
- 60 კგ.
  - 1 ნოზაძე გიორგი;
  - 2 მირიანაშვილი სოსო;
  - 3 ბეგიაშვილი ნიკა;
  - 3 კასრაძე ნიკოლოზი.
- +60 კგ.
  - 1 წურიაშვილი გიორგი;
  - 2 ჯანელიძე ტრისტანი;
  - 3 ჩოგოვაძე გონა;
  - 3 ჩიხილიძე ბაქარი.

ვულოცავთ მონაწილეებს გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებთ შემდეგ ასპარეზობებზე.



სათივის ხილი ღამით

არჩილ სუთიაშვილის ფოტო

- ბერძნულ-რომაული ჭიდაობა -

საბა ჩილაშვილი - ტალანტი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ


საშურის საჭიდაო სკოლა ყოველთვის იყო იმ სიმაღლეზე, რომ ჩვენს ქვეყანაში მუდამ მოწინავე ადგილი ეკავა. ეს ჭიდაობის ნებისმიერ სახეობას ეხება. და ამის დასტური მსოფლიოს, ევროპის თუ ათასგვარი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულების სიმრავლეცაა. წელიწადი არ გავა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ახალი სახე არ გამოვლინდეს, რომელიც უკვე დიდ სიტყვას ამბობს საერთაშორისო არენებზე. დღეს, ჩვენს მკითხველს ერთ-ერთი მათგანი გვინდა გავაცნოთ - საბა ჩილაშვილი, ახალგაზრდა მოჭიდავე, რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. საბა ჯერ მხოლოდ 16 წლისაა (27 მაისს ხდება 17 წლის), მაგრამ უკვე მოაგროვა ტიტულები. სულ ახლახანს, თურქეთში, საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მანამდე, ერთი თვის უკან, საქართველოს ჩემპიონი გახდა 17 წლამდელთა შორის. არის, ასევე, ერევნის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.



საბა თავის მწვრთნელთან - შესანიშნავ სპეციალისტთან, კახა ლომიძესთან ერთად გვეწვია რედაქციაში და ეს ინტერვიუც მაშინ შედგა.

- საბა, როდის მოხდა სპორტთან შენი პირველი შეხება?

საუბარში ბატონი კახა გვერთვება: - მართლაც უცნაურად დაიწყო ეს ისტორია. ქუჩაში ვიდექი ე.წ. „სამარშუტოს“ მოლოდინში. ჩემს წინ დედა-შვილმა ჩაიარა. ბუთხუზა ბიჭმა, უცებ, ავტომობილის მოსარიდებლად ისეთი რეაქცია გამოავლინა, რომ მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. მივხვდი, რომ ეს ისეთი, თუ შეიძლება ითქვას, „მასალა“ იყო, რომელსაც სწორი მიმართულების შემთხვევაში, პერსპექტივა აშკარად ექნებოდა. ეს შემთხვევა არც გამიშვია ხელიდან, დავეუკავშირდი მშობლებს და მას შემდეგ საბა ჩვენთან ვარჯიშობს. ეს იყო



8 წლის წინ... პატარა წონებიდან დაიწყო და დღეს 110 კილოგრამში გამოდის... - საბა, ნაკრებში უკვე მყარად ხარ დამკვიდრებული, როდისაა უახლოესი ტურნირი?

- მთავარი ტურნირი ევროპის ჩემპიონატია, რომელიც 13-17 ივნისს გაიმართება, მანამდე კი ნაკრებში ორ შეკრებას გავივლით.

- შენი ჭიდაობა ვინც ნახა, ყველა ამბობს, რომ ჭიდაობა შენი გენეტიკის ნაწილია. ოჯახში გყავდათ ვინმე, ვინც ადრე დაკავებული იყო სპორტის ამ სახეობით?

- დიახ, პაპა იყო მოჭიდავე, ოღონდ „თავისუფალში“ გამოდიოდა...

- ვიცის, რომ ძმა გყავს. ისიც მოჭიდავეა?

- არა, მას ფეხბურთელობა უნდა...

- ევროპის ჩემპიონატისგან რას ველოდი?

კახა ლომიძე: - სხვათაშორის, ევროპაზე ვინც მისი მთავარი კონკურენტები არიან, საბას ყველა ჰყავს დამარცხებული. უმთავრეს ირანელ კონკურენტს, მაგალითად, შარშან 5:2 მოუგო. ასე, რომ...



- შენი საყვარელი ილეთი?

- გდება და კისრული.

- კუმირი თუ გყავს?

- დიახ, კუბელი მოჭიდავე - ლოპეზი, რომელიც ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მართლაც ბეჭდაუდებული ფალავანია.

- საბა, მოუთმენლად ველოდი ევროპის ჩემპიონატს და იმედი გვაქვს, საშურელ მოჭიდავეებს კიდევ ერთი ევროპის ჩემპიონი შეემატება. წარმატებებს გისურვებთ!

- მაღლობა.

კახა ლომიძე: - ჭიდაობის სახეობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომისმოყვარეობას. ამ მხრივ, საბა მართლაც გამორჩეულია. ფაქტობრივად, ამდენი წლის განმავლობაში, არც კი მახსოვს, რომ მას ვარჯიშში გაეცდინოს. ასეთი შრომისმოყვარეობა კი ყოველთვის აისახება შედეგებში...

მაშ, ასე, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: საბა ჩილაშვილი, დაიმახსოვრეთ ეს სახელი. გეჯერა, კიდევ მრავალი წელი მოგვიწევს მასზე საუბარი და იმედი, ეს ბიჭი, რომელიც სულ ჩქარა უფროსებში დაიწევს ასპარეზობას, კიდევ უამრავი ტიტულით გაახარებს ჩვენს ქალაქს და სრულიად საქართველოს.

გ. გოგოლაძე

ა(ა)იპ საშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „საშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგოლაძე, მისამართი: საშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: საზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო საზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.